

მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძვლები
(ქართულ სისხლის სამართლის პროცესში)

ლანა ბოკუჩავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესიკ ქვარცხავა - სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არა არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ლანა ბოკუჩავა

21.06.2021

აბსტრაქტი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აწესრიგებს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს. ამ პროცესში კი მთავარი „იარაღი“ სწორედ მტკიცებულებებია. სახელმწიფო მტკიცებულებებს იყენებს დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად და დასასჯელად. ხოლო დაცვის მხარის მიზანია გაამართლოს ბრალდებული(მსჯავრდებული) ან/და შეამსუბუქოს მისი პასუხისმგებლობა. მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში ჩართულია როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეც. ამიტომაც მნიშვნელოვანია მხარეთა უფლება-მოვალეობების დადგენა, რათა მტკიცებულებების მოპოვებამ არ მიიღოს ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების თვითნებური, დაუსაბუთებელი შეზღუდვის ხასიათი. სწორედ ამის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს სისხლის სამართალში მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა. იმისათვის რომ დამედგინა თუ ძირითადად რა გარემოებები ხდება მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, ჩავატარე კვლევა. კერძოდ, დოქტრინალური კვლევის საფუძველზე და სასამართლო პრაქტიკის ანალიზით გამოვლინდა, თუ რა იგულისხმება კანონის „არსებითი დარღვევის“ ცნების ქვეშ. ასევე, გამოიკვეთა მტკიცებულების დაუშვებლობასთან დაკავშირებით გარკვეული ხარვეზები. რომლებიც ძირითადად უკავშირდება მხარეების უფლებამოსილებას, სასამართლოს როლს საპროცესო შეთანხმების დროს მტკიცებულებების დასასვეობის შემოწმებისას, ირიბი ჩვენების გამოყენების საკითხს. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას.

საკვანძო სიტყვები: მტკიცებულება, არსებითი დარღვევა, ირიბი ჩვენება, მტკიცებულების დასაშვებობა.

Abstract

This master's thesis discusses the procedural aspects of admissibility of the evidence in criminal proceedings. The Criminal procedure code of Georgia regulates the rules of crime investigation, prosecution and administration of justice. The main tool in this process is the evidence. In order to convict a defendant of a crime, a prosecutor must present enough evidence to prove all the elements of the offense beyond a reasonable doubt. Whereas, the defense attorney tries to gather evidence to prove his innocence. Both the prosecution and the defense attorney are involved in the process of procuring evidence. Therefore, it is important to set up the rights and responsibilities of the parties so that the taking of evidence does not take the form of an arbitrary, unjustified restriction of constitutional human rights and freedom. One of the guarantees of this is the admissibility of evidence in criminal law. In order to find what are the main reasons for the admissibility of evidence, I conducted a survey. In particular, on the basis of doctrinal research and analysis of case-law, it was revealed what is meant by the concept of real violation of the law. Also, some shortcomings about the admissibility of evidence were identified. Which are mainly related to the powers of the parties, the role of the court in examining the admissibility of evidence during a plea agreement, the issue of the use of indirect testimony. The paper will give recommendations to help address these apparent errors.

Key words: Evidence; substantial violation; indirect testimony; admissibility of evidence..